ქ. თეთრიწყარო

08/01/2019

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N9

9-13-4-201901081615

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში №3 დანართში მოცემული სახის ოქმის ოფიციალური სამართლებრივი შედგენა/გაფორმებით.

2.მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება, როგორც მატერიალური სახით ადმინისტრაციული სამსახურის კანცელარიის, ისე მერიის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით meria@tetritskaro.gov.ge და მათი კონსულტირება №2 დანართით განსაზღვრული ფორმით საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.

3.თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

4.მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლებთან ყოველდღე, 09^{00} საათიდან 18^{00} საათამდე, 2019 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

5.დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი ნატო ალთუნაშვილი, მობილურის N +995 591 65 36 88, ელ.ფოსტა: nato.altunashvili.1@iliauni.edu.ge
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნათია ებრალიძე, მობილურის N +995 598 65 61 61, ელ.ფოსტა: natiaebralidze1995@gmail.com

7.დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარეებისათვის ოფიციალური გაცნობა.

8.დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს - ნათია ებრალიძეს უზრუნველყოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და საპროექტო წინადადებების მიღების თაობაზე შესატყვისი ინფორმაციის განთავსება/გავრცელება მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდისა და ელექტრონული სოც/საშუალებების მეშვეობით.

9.საერთო კონტროლს წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია